AUDIT OFFICE

აუდიტორული დასკვნა

შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნას ხელმძღვანელობას

ჩავატარეთ შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნას (ს.ნ. 204892535) ბუღალტრული ბალანსის და მასთან დაკავშირებული მოგების და ზარალის ანგარიშგების მიმოხილვა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წარმოდგენილ ანგარიშებზე პასუხისმგებელია შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნას ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ.

სამუშაოს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს სამუშაოს იმგვარად დაგეგმვასა და შესრულებას, რომ მივიღოთ ზომიერი გარანტია იმისა შეიცავს თუ არა აღნიშნული ანგარიშები არსებით უზუსტობებს. მიმოხილვა ძირითადად ეყრდნობა ანალიზურ პროცედურებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო ზომიერ საფუძველს გვაძლევს ჩვენი აზრის გამოსახატავად.

ჩვენი სამუშაოს პროცესში არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც მიგვანიშნებდა, რომ წარმოდგენილი ანგარიშები უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნას ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით.

შპს აუდიტური ოფისის დირექტორი

კახა ხმელიძე

20.04.2022

"აუდიტური ოფისი" * "AUDIT OFFICE" LTD * AUDIT OFFICE * 205141675 *